სკოლის დასახელება	„მეგასკოლა“
მასწავლებელი	დარინა აბულაძე
ნაწყვეტი წიგნიდან	„ძმები ლომგულები“ - ასტრიდ ლინდგრენი- I თავი
სწავლების საფეხური/კლასი	V-VI
მისაღწევი შედეგები	მიმართულება: ზეპირმეტყველება სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე). 2. მიმართულება: კითხვა წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა. 3. მიმართულება: წერა წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულების გამოვლენა; ემოციური შეფასება შესაფერისად შერჩეული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებით;
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეებს მკითხველთა კლუბ ,,მწიგნობარში“ განხილული აქვთ ერიკ-ემანუელ შმიტის ,,ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“, შესაბამისად მოსწავლეებმა კარგად იციან თუ რას ნიშნავს ცისაქეთა სევდის ცისიქითა იმედი...
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება ორი გაკვეთილი. 1. გონებრივი იერიში (5 წუთი); 2. „კომენტირებული შუქნიშანი“ (30წუთი) - ტექსტის გაცნობა, გაგება-გააზრება; 3. საშინაო დავალების, ტექსტი „ძმები ლომგულების“ მოცემული ნაწყვეტის გაგრძელების, პრეზენტაცია (10წუთი) 4. აზროვნების სამი სკამი (20 წუთი); 5. წერითი დავალება - რაფთი(10-15წთ).

<table>
<tr><td>აქტივობა 1</td><td>
<table><tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr></table>
აქტივობის აღწერა:
გონებრივი იერიში - მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, როგორ
წარმოუდგენიათ სიცოცხლის შემდგომი ცხოვრება.

აქტივობის მიზანი:
წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარის განვითარება; შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება; ასახსნელი ტექსტის მიმართ განწყობის შექმნა და ყურადღების კონცენტრიტება.
</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2</td><td>
<table><tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr></table>
აქტივობის მიზანი:
მასალის გაცნობა; მთავარი აზრის გამოკვეთა; პიროვნული დამოკიდებულების გამოვლენა; შეკითხვების დასმა; მოლოდინების გადახედვა და რეალობასთან შედარება.

აქტივობის აღწერა:
„კომენტირებული შუქნიშანი“ - მოსწავლეებს მასწავლებელი ურიგებს წითელ, მწვანე და ყვითელი ფერის წებოვან ფურცლებს. მოსწავლეები ტექსტს ეცნობიან აბზაც-აბზაც. თითოეული აბზაცის წაკითხვისას აკეთებენ კომენტარებს ფერად ფურცლებზე და აწებებენ გვერდით.
წითელ ფურცელს იყენებენ იმ შემთხვევაში თუ სრულიად გაუგებარი იქნება წაკითხული ეპიზოდი.
ასევე, კომენტარის სახით აწერენ პირად დამოკიდებულებას, თუნდაც დასათაურებულად.
ყვითელ ფურცელზე წერენ თუ რა იყო ბუნდოვანი და დამაბნეველი, რა თქმა უნდა, კომენტარის თანხლებით. მწვანეს აწებებენ მაშინ თუ ყველაფერი გასაგებია და მოკლედ, ფრაზულად აჯამებენ, ან ასათაურებენ აბზაცს.

მეორეჯერ კითხულობენ ტექსტს უკეთ აღსაქმელად.
შემდეგ მასწავლებლის მიერ დაფაზე დახაზულ სქემაში აწებებენ ფურცლებს აბზაცების მიხედვით და მასწავლებელთან ერთად განიხილავენ, მსჯელობენ, გამოთქვამენ არგუმენტირებულ მოსაზრებებს და აჯამებენ.
</td></tr>
</table>

აქტივობა 3	**აქტივობის აღწერა** / **აქტივობის მიზანი** აქტივობის აღწერა: „აზროვნების სამი წრე“- როლური თამაში. ნაწყვეტის სამი სხვადასხვა პერსპექტივიდან (მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის) პერსპექტივიდან განხილვა ჯგუფურად. მოსწავლეებსშემთხვევითშერჩევითობისპრინციპითვანაწილებთ 3-3 ჯგუფად და ვსვამთ - მეოცნებეების, რეალისტებისა და კრიტიკოსებისთვის განლაგებულ მერხებთან. მეოცნებეების ჯგუფის წევრები - გამოთქვამენ მხოლოდ დადებით ვარაუდებს, ოცნებობენ, არ ფიქრობენ მოსალოდნელ შედეგებზე, ყველაფერს აღიქვამენ პოზიტიურად და ფანტასტიკურად; რეალისტები - აზროვნებენ სამართლიანად და შედეგებზე არიან ორიენტირებულები; არჩევენ მიზანმიმართულ გზას და მოქმედებენ გონივრულად; კრიტიკოსები - შესაძლო რისკებსა და შესაძლებლობებზე ფიქრობენ. არიან ობიექტურები და მიზანმიმართულად მსჯელობენ. საკითხს არ განიხილავენ ნეგატიურად. შემდეგ ცვლიან ადგილებს და სხვა პოზიციიდან აფასებენ მოცემულ იდეებს; რეალისტები ირგებენ მეოცნებეების როლებს, მეოცნებეები - კრიტიკოსებისას, კიტიკოსები კი - რეალისტებისას. შემდეგ ისევ იცვლება როლები და ხდება საბოლოო შეჯამება, მოკლე პრეზენტაცია თითოეული ჯგუფის მიერ. აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტის უნარის ხელშეწყობა. რათა მოსწავლემ თავადვე გააანალიზოს პრობლემის გამომწვევი მიზეზი, მოიძიოს გადაჭრის ეფექტური გზები, შეძლოს აზრის გამართულად ჩამოყალიბება.

<table>
<tr><td>აქტივობა 4</td><td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr>
</table>
წერითი დავალება- სიცოცხლე ზღვარს მიღმა

აქტივობის აღწერა:
<table>
<tr><td>როლი (რ)</td><td>ჯონათანი; „სკორპა“; ავტორი; მკითხველი; ძმების დედა; მამა.</td></tr>
<tr><td>აუდიტორია (ა)</td><td>ჯონათანი; „სკორპა“; დედა; მამა; მკითხველი; მწერალი.</td></tr>
<tr><td>ფორმატი (ფ)</td><td>წერილი; ინტერვიუ; ჩანახატი; დღიური.</td></tr>
<tr><td>თემა (თ)</td><td>სიცოცხლე ზღვარს მიღმა</td></tr>
</table>
რაფთი - მოსწავლეები ქმნიან ტექსტებს სხვადასხვა პოზიციიდან (მაგ., მკითხველის, პერსონაჟის) ნებისმიერი აუდიტორიისთვის (მაგ., ავტორისთვის) სხვადასხვა ფორმით (მაგ., პირადი წერილი, ჩანახატი) შერჩეულ თემაზე (მაგ., ნაწარმოებში ასახული პრობლემის შესახებ).

აქტივობის მიზანი: შემოქმედებითი წერისა და თვითგამოხატვის უნარები;
ნაწერისთვის შესაბამისი სტილის შერჩევის უნარი;
ტექსტის ინტერპრეტირების უნარი.
</td></tr>
</table>